№9

სექტემბერი, 2023წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

„ბოლნისქალაქობა 2023“

გვ:3

რვა ბოლნისელს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა

გვ:3

ბოლნისში უფასო იურიდიული დახმარების სამსახური გაიხსნა

გვ:6

„ბოლნისქალაქობა 2023“

ტრადიციად ქცეულმა „ბოლნისქალაქობამ“ ადგილობრივ და მოწვეულ სტუმრებთან კიდევ ერთხელ მოიწონა თავი. ძველი გერმანული უბანი ერთი დღით გასართობ-შემეცნებით სივრცედ გადაიქცა, სადაც ყველა ასაკისთვის შესაბამისი გარემო იყო შექმნილი, საზეიმოდ მორთული ქუჩები, საბავშვო და სპორტული სივრცეები, ანიმაციური გმირები და ორკესტრის საყვირების ჟღერადობა განწყობას კიდევ უფრო ამაღლებდა.

ადგილობრივები საკუთარ ქალაქს, სადაც არ ივიწყებენ ძველ გერმანულ კულტურას, თანამედროვე შტრიხებით, მსოფლიოს აცნობენ.

მრავალფეროვანი საზეიმო ღონისძიებები 16 საათიდან დაიწყო. სტუმრებისთვის სხვადასხვა ლოკაციაზე მოეწყო ხელნაკეთი ნივთების, სუვენირების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა, გაიმართა ღვინის გასტრონომიული და ტურისტული კუთხეები. წელსაც საზეიმო ვითარებაში დაიწურა ყურძენი. სპეციალურად შერჩეულ ლოკაციაზე ბოლნისის 23 საოლქო-საარჩევნო კომისიამ იმიტირებული საარჩევნო პროცესი გამართა. სახალხო დღესასწაულს მოწვეულ სტუმრებთან ერთად ადგილობრივი, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და სასულიერო პირები ესწრებოდნენ.

სახალხო დღესასწაულზე ტრადიციულად, ბოლნისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ამჯერად ეს წოდება სხვადასხვა სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის რვა ბოლნისელს მიენიჭა.

საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების შემდეგ ღონისძიება ლეგენდარული, ყველასათვის საყვარელი ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონის“ კონცერტით გაგრძელდა. ქართული სულითა და როკვით გაჯერებული საკონცერტო ტემპი კვარტეტმა „რანინამ“ და ჯგუფმა „რეგიონმა“ გააგრძელა, „ბოლნისქალაქობა 2023“ ელექტრონული მუსიკის და თბილისური ბაიათების შემსრულებელმა „თამადამ“ დაასრულა.

დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

-მოხარული ვარ, რომ სახალხო დღესასწაული „ბოლნისქალაქობა“ უკვე ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად იქცა და ამ დღეს არამარტო ბოლნისელები, არამედ სხვა მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლებიც მოუთმენლად ელიან. ,,ბოლნისქალაქობა” - ესაა სახალხო დღესასწაული, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ჩვენი მუნიციპალიტეტის მრავალფეროვან კულტურას, ტრადიციებს, ის აერთიანებს სხვადასხვა თაობის წარმომადგენელს, ეს თაობათაშორისი ურთიერთობა კი ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. თითოეულ ბოლნისელს ვულოცავ ჩვენი პატარა, თუმცა, დიდი ისტორიისა და წარსულის მქონე ქალაქის დღესასწაულს.

გოგი მეშველიანი, დეპუტატი:

-აღვნიშნეთ ტრადიციად ქცეული „ბოლნისქალაქობა“. ბოლნისის მუნიციპალიტეტის თითოეულ მაცხოვრებელს ვულოცავ ჩვენი პატარა, მაგრამ დიდი ისტორიის მქონე ქალაქის დღესასწაულს. მიხარია, რომ ამ დღეს, თანამოქალაქეები და ჩამოსული სტუმრები განსაკუთრებული განწყობით ერთად ვზეიმობთ. წელსაც გვქონდა შესაძლებლობა გვენახა სხვადასხვა საინტერესო აქტივობა და დავსწრებოდით გალა-კონცერტს.

გიორგი დოხტურიშვილი, სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში:

-უამრავი კულტურული და სპორტული ღონისძიებით არის წარმოდგენილი ბოლნისის მუნიციპალიტეტი. მინდა დიდი პატივისცემით მივულოცო ბოლნისელებს ეს დიდი დღე და ვუსურვო წარმატებები.

რვა ბოლნისელს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა

,,ბოლნისქალაქობის'' სახალხო დღესასწაულზე ტრადიციულად, ბოლნისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ამჯერად ეს წოდება სხვადასხვა სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის რვა ბოლნისელს მიენიჭა.

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის წინაშე გამოვლენილი სამაგალითო სიყვარულისა და უმწიკვლო მსახურებისათვის, ხანგრძლივი პროფესიული ღვაწლისა და საზოგადოებრივი მაღალი პასუხისმგებლობისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის უმაღლესი საზოგადოებრივი ჯილდო - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება“ მიენიჭა ქვეყნის ღირსეულ მოქალაქესა და ხალხში მაღალი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ბოლნისისა და დმანისის სერვის ცენტრის ღვაწლმოსილ მოქმედ მუშაკს ანზორ შეყილაძეს.

2. ბოლნისის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეტანილი მოკრძალებული წვლილისა და ამ მიმართულებით საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმიანობაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის, მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობისა და მოქალაქეობრივი სამაგალითო აქტიურობისათვის, კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში გამორჩეული წვლილისა და დამსახურებისათვის - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება“ მიენიჭა ფოლკლორული ანსამბლის „სიონი“-ს ერთ-ერთ უხუცესს, ფუძემდებელსა და მოქმედ ხელმძღვანელს დავით ყაველაშვილს.

3. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცებასა და მანდილოსნის სახელის ღირსეულად ტარებისთვის, ტოლერანტობის სამაგალითო დაცვასა და ინსპირაციაში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე გაწეული უმწიკვლო მსახურებისა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გარდაცვალების შემდეგ, „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება“ მიენიჭა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქ. ბოლნისის მმაჩის ბიუროს განყოფილების

ყოფილ გამგეს, სოლმაზ ნაბიზადეს.

4. ქართულ-აზერბაიჯანულ საზოგადო-ებრივ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ორ მოძმე ქვეყანაში ჟურნალისტიკასა და პედაგოგიურ მოღვაწეობაში გამორჩეული ღვაწლისათვის, ხალხებს შორის საერთო ინტერესების

დაახლოების საქმეში მნიშვნელოვანი ფორმების შემუშავებისა და მეთოდების დანერგვაში მიღწეული წარმატებებისათვის „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება“ მიენიჭა, წარმოშობით ბოლნისელს, აზერბაიჯანის ჟურნალისტთა კავშირისა და მწერალთა კავშირის წევრს, აზერბაიჯანის კულტურის საპატიო მუშაკის წოდების მფლობელს, მწერალსა და ჟურნალ „ოზან დუნიას“ მთავარ რედაქტორს, საქართველოს ქომაგსა და განსაკუთრებით კი მშობლიურ ბოლნისის მუნიციპალიტეტზე უსაზღვროდ შეყვარებულსა და მოამაგეს მუსა ჩუბანოვს.

5. სამსახურეობრივი მოვალეობისადმი გამორჩეულად მაღალი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებისა და საქმისადმი გამოვლენილი გულისხმიერებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის უმაღლესი საზოგადოებრივი ჯილდო „ბოლნისის

მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება“ მიენიჭა შპს „კომუნალური მეურნეობის“ დასუფთავების ზედამხედველს, კარგ კაცსა და ყველასათვის გულითად მეგობარს რეზო კიკოლიაშვილს.

6. ბოლნისის მუნიციპალიტეტში განათლების სფეროს განვითარებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ხანგრძლივი და წარმატებული პედაგოგიური

მოღვაწეობისთვის „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება“ მიენიჭა ყველასათვის საყვარელ ქალბატონს მანანა შკუბულიანს.

7. კულტურისა და ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში გაწეული მნიშვნელოვანი ღვაწლისათვის, ხანგრძლივი და წარმატებული

პედაგოგიური მოღვაწეობისა და გამორჩეული საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის უმაღლესი ჯილდო „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება“ მიენიჭა მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელს, საერთაშორისო და ეროვნული კონკურსების არაერთგზის ლაურეატსა და პრიზიორს, ღირსეულ პედაგოგსა და ლოტბარს, უმშვენიერეს ქალბატონს ნინო დვალიშვილს.

8. მედიცინის სფეროში ხანგრძლივი, ნაყოფიერი შრომისა და მის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება“, გარდაცვალების შემდეგ, მიენიჭა, ბოლნისის მუნიციპალური საავადმყოფოს ყოფილ

ქირურგსა და სამედიცინო სასამართლოს ექსპერტს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, სამედიცინო დოქტორს გივი საგანელიძეს.

,,წარმატებული სტუდენტური ცხოვრება, საქართველოდან გერმანიასა და ფინეთში"

სტუდენტური ცხოვრება ის პერიოდია, როდესაც საკუთარი თავის აღმოჩენისა და განვითარების ფართო შესაძლებლობა გვეძლევა, ამ გზას კი ყველა თავისებურად გადის. თინათინ წერეთელი ერთ-ერთია იმ სტუდენტებიდან, რომლებმაც აკადემიურ გზაზე არაერთ წარმატებას მიაღწიეს, წინ გადაეშალათ პიროვნული და პროფესიული ზრდის მრავალი შესაძლებლობა და შეძლეს მათი უნიკალურად გამოყენება.

ცნობისმოყვარეობა, ამბიცია და შრომა - აი, რა ეხმარება ადამიანს იყოს წარმატებული.

თინათინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს სოციალურ მუშაობას. იგი გაცვლითი პროგრამით გერმანიაში იმყოფებოდა, ამჟამად კი ფინეთში, ივასკულას უნივერსიტეტში ეუფლება ცოდნას.

ამ ინტერვიუში გვიზიარებს მის გამოცდილებას და შეხედულებებს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ სწავლის შესახებ.

- მოგესალმებით, შეგიძლიათ მკითხველს უამბოთ თქვენზე, როგორც წარმატებულ სტუდენტზე და საგანმანათლებლო გამოცდილებაზე?

-გამარჯობა, მკითხველო! სადღაც ვიღაცას წარმატებულ სტუდენტად ჩავუთვლივარ, ჰოდა, მეც ვეცდები შევიფერო და შეკითხვებს ვუპასუხო.

ჩემი საგანმანათლებლო გზა კლასიკურად მოიცავს ბაღი-სკოლა-უნივერსიტეტის ეტაპებს. საბედნიეროდ, პირველი ორი დადებითად მახსენდება და ვცდილობ სტუდენტური გამოცდილებაც დატვირთული და მრავალფეროვანი მქონდეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობ სოციალურ მუშაობას, ამჟამად კი ჩემთვის მეორე გაცვლით სემესტრს ვატარებ ფინეთში, ივასკულას უნივერსიტეტში. საშუალება მქონდა ერაზმუს + მობილობით გერმანიაშიც მესწავლა, რაც ცხოვრების ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდად მახსენდება. უნივერსიტეტის მიღმა ვარ ახალგაზრდა ევროპელი ელჩი და ერაზმუს სტუდენტთა გაერთიანების მოხალისე.

- სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდნტი ხართ. რამ გიბიძგათ ამ ფაკულტეტზე ჩაბარებისკენ და რა გზა გაიარეთ იქამდე?

-2020 წელს დავამთავრე ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის N1 საჯარო სკოლა. ეს არც ისე შორი წარსულია და მახსოვს განცდა დაბალი კლასებიდანაც, როცა არ მინდოდა სკოლის გაცდენა, რადგან მეგონა, რაღაც მნიშვნელოვანს ვაკლდებოდი. ეს უკვე მოწმობს ალბათ იმას, რომ სკოლამ და კლასელებმა მოახერხეს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც სიხარულით მივდიოდი. თუმცა, როგორც სკოლაში, ასევე სხვა ყველა კლასგარეშე აქტივობისას ვაწყდებით სიტუაციებს, როცა ან თავად გექცევიან უსამართლოდ, ან სხვას, ან სულაც ჩვენ ვიქცევით არასწორად. ეს გამოცდილება, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა ჩემთვის და აბიტურიენტობისას ძირითადი ჩემი ინტერესი იყო პოლიტიკა და სოციალური მუშაობა. თსუ-ში ჩაბარებისას მალევე დავაფიქსირე სოციალური მუშაობა ძირითად მიმართულებად და იმედი მაქვს, მოვახერხებ გავხდე კარგი პროფესიონალი.

- როგორც ახსენეთ, ფინეთში გაცვლით პროგრამაზე იმყოფებით, რაც საკმაოდ დიდი მიღწევაა. როგორ მოხვდით ამ პროექტში?

-ივასკულას უნივერსიტეტში მოვხვდი ერაზმუს + საერთაშორისო მობილობის პროგრამის ფარგლებში, რაც მოიაზრებს ერთი სემესტრის განმავლობაში ფინეთში სწავლასა და ცხოვრებას. პროგრამაში ჩასართავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოაცხადა კონკურსი, რომელიც მოიცავს ენის გამოცდის ჩაბარებას, აპლიკაციის შედგენასა და გასაუბრებას. ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის ამ კონკრეტულ უნივერსიტეტში მობილობის შანსი გაჩნდა მოგვიანებით, თუმცა ჩვენი მიმართულების ხელმძღვანელის დახმარებით 1 დღეში მოვახერხეთ აპლიკაციების მომზადება.

- გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, რა ისწავლეთ საზღვარგარეთ ყოფნის განმავლობაში?

-ამ დროს არასდროს მახსენდება კონკრეტული საგანი ან რაიმე თეორიული ცოდნა, რაც გერმანიაში მივიღე, ან რასაც ფინეთში ვისწავლი. ყველაზე მთავარი გაცვლითი პროგრამით სწავლისას არის უნარების განვითარება და თვალსაწიერის გაფართოება. გერმანიაში ვისწავლე, რომ სტუდენტობა არ უნდა იყოს მოცული მხოლოდ სწავლით, ეს უნდა იყოს აღმოჩენებისა და ინტერესების გაჩენის ეტაპიც. გარდა ამისა, გარკვეული ხნით ქვეყნიდან წამოსვლა მეხმარება არამხოლოდ იმის აღმოჩენაში, რა შეიძლება იყოს საქართველოში უკეთესი, არამედ ასევე მახსენებს, რის გამო მიყვარს ჩემი ქვეყანა.

- ფინეთი ცნობილია თავისი განათლების სისტემით. როგორ ფიქრობთ, რა არის ის მთავარი დეტალი, რაც ფინურ განათლებას განსაკუთრებულად აქცევს?

-ფინეთში სწავლის დაწყების პირველ კვირას ძალიან ხშირად მესმოდა სიტყვა კეთილდღეობა(well-being – კარგად ყოფნა), რომელიც სოციალური მუშაობის სტუდენტისთვის უცხო ტერმინი ნამდვილად არ არის. ამან უბრალოდ დამაფიქრა იმაზე, რომ საქართველოში საგანმანათლებლო სივრცეში არ გეუბნებიან, რომ სწავლის პროცესი შენთვის უნდა იყოს სასიამოვნო. ფინური განათლება, ჩემი მცირეხნიანი დაკვირვებით, არის მხარდაჭერის პროცესიც.

ამას ემატება პირობები, რომლებსაც უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტს, იქნება ეს სტუდენტური საცხოვრებელი თუ შეღავათები საკვებზე.

განსხვავდება სასწავლო განრიგიც, ივასკულას უნივერსიტეტის შემთხვევაში, არის კურსები, რომლებიც სრული სემესტრის განმავლობაში არ მიმდინარეობს, ეს კი საშუალებას იძლევა კალენდარზე დატოვო მუშაობისა და დასვენების დროც.

- შეგიძლიათ დაგვისახელოთ კონკრეტული კურსი ან პროექტი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თქვენს პიროვნულ ზრდაზე?

-განცდა მაქვს, რომ ყველა პროექტმა, კურსმა, წარუმატებელმა მცდელობებმაც კი იქონია გარკვეული გავლენა, უბრალოდ პროცესში ამას ვერ ვხედავდი. ერთ-ერთი პირველი იყო გდანსკის ბიზნეს კვირა, რომლითაც მივხვდი, რომ საერთაშორისო გარემოში ყოფნა და არაფორმალურ სივრცეში სწავლა ძალიან მომწონდა. მახსენდება ახალგაზრდული იდეაც, რომელმაც დაკისრებული მოვალეობის იდეალურად შესრულებისკენ მიბიძგა. უნივერსიტეტების გარდა ბოლო დროის საყვარელი გამოცდილება იყო აისეკი(AIESEC), სადაც შევხვდი ადამიანებს, რომლებმაც საკუთარ თავზე მუშაობა მასწავლეს.

- რა არის თქვენი ინტერესები სწავლის მიღმა, რომელსაც თავისუფალ დროს უთმობთ?

პასუხის გასაცემად ფიქრები გამირბის ხელოვნებისკენ. თეატრი არის ადგილი სადაც თან ვისვენებ, თან ვსწავლობ. მიყვარს პოეზია და ვცდილობ გავეცნო ქართულ ლიტერატურას. დაინტერესებული ვარ ენების შესწავლითაც , ცოტა უფრო სერიოზულად ვსწავლობ ინგლისურსა და გერმანულს, სამაიმუნოდ ფინურის კურსსაც გავდივარ ახლა.

თავისუფალ დროს, საუკეთესო შემთხვევაში, მეგობრებთან ერთად ვცეკვავ, ან უბრალოდ ვისვენებ.

- რა გეგმები გაქვთ გაცვლითი პროგრამის დასრულებისა და სწავლის დამთავრების შემდეგ? გაქვთ რაიმე კონკრეტული კარიერული მიზნები ან მისწრაფებები?

წამოსვლის შემდეგ ვუბრუნდები თსუ-ს და დავამთავრებ სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამას. უკვე დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა მიმართულებით ან სად მინდა მაგისტრის ხარისხის მოპოვება, თუმცა ვფიქრობ ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ შევისვენებ და შევეცდები სოციალური მუშაკის სამუშაო გამოცდილება მივიღო. ძალიან მინდა აკადემიური უნარების გაუმჯობესება წერისა და კვლევების მიმართულებით.

მაქვს პატარა-დიდი გეგმები და ოცნებები, რომლებზეც როგორც წესი არ ვსაუბრობ, რადგან ასე უფრო უკეთ ვახერხებ მათ რეალიზებას.

- არიან პროფესორები, მენტორები ან პიროვნებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს თქვენს პროფესიულ ზრდაზე?

-ამ მხრივ შემიძლია ვთქვა, რომ მიმართლებს, ხშირად აღმოვჩნდები ხოლმე ისეთი ადამიანების გარემოში, რომლებიც თავიანთი საქმის სიყვარულითა და პროფესიონალიზმით, საქმის უკეთ კეთებისკენ მიბიძგებენ. ჩემი დაკვირვებით, დიდ გავლენას ახდენენ ჩემზე ადამიანები, რომელთა მიზანიც ვინმეზე გავლენის მოხდენა არაა. ვგულისხმობ, თუ პროფესორი, თანაკურსელი ან მეგობარი საკუთარ ნიჭიერებასა და განათლებას ხაზს არ უსვამს და შენ გიტოვებს სივრცეს, ეს მასში აღმოაჩინო, ბევრად უფრო მეტს ისწავლი მისგან.

თუ კონკრეტულ პიროვნებაზე დაფიქრებისას მახსენდება ამ სიტყვათაგან რომელიმე: სამართლიანი, კრიტიკული, კეთილი, დახვეწილი, ძლიერი, ქარიზმატული; მაშინ ჩავთვლი, რომ მან ჩემზე გავლენა იქონია.

როგორც ხედავთ, არ მინდა კონკრეტული სახელები და გვარები დავასახელო, თუმცა შემიძლია გამოვყო მხოლოდ დედაჩემი - ქალი, რომელმაც ვერასდროს სახელს ვერ ვარქმევ რა მასწავლა, მაგრამ მასზე დაკვირვებით ძალიან ბევრი ღირებულება ჩამომიყალიბდა.

- და ბოლოს, რა გზავნილი ან რჩევა გსურთ დაუტოვოთ ახალგაზრდებს, რომლებსაც სურთ წარმატებული კარიერის შექმნა და ხარისხიანი განათლების მიღება, რა სჭირდებათ მათ ამისთვის?

მეც ახალგაზრდა ვარ და ამიტომ მერიდება თანატოლებს წარმატების ფორმულა, თუ რაღაც მსგავსი, გამოვუყვანო. რომც ვეცადო, ეს ფორმულა აბსოლუტურად ზუსტი მაინც არ გამოვა, იმიტომ, რომ განსხვავდება ადამიანებში წარმატების აღქმა.

რჩევა შემიძლია საკუთარი თავისთვისაც და სხვებისთვისაც, რომ ვიყოთ საქმის კეთების პროცესში გულწრფელი. არ მოგვერიდოს საკუთარ თავთან ვაღიაროთ, რომ ყველაფერი არ ვიცით. დასახული მიზნის მიღწევის ერთადერთ გზად ავირჩიოთ შრომა და შევიყვაროთ მცდელობის პროცესი.

წარმატებას გისურვებთ!

მარიამ ონიანი

სოხუმის დაცემიდან 30 წელი გავიდა

30 წლის წინ, 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმი დაეცა. ამ დღესთან დაკავშირებით ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, პირველ მოადგილესთან და ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად, სოფელ რაქისუბანში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული ეროვნული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო და დაღუპული მებრძოლების ხსოვნას პატივი მიაგო, ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა მეუფე ეფრემმა ომში დაღუპული გმირების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და საომარი მოქმედებები 13 თვე გაგრძელდა. 1993 წლის 27 სექტემბერს კი სოხუმი დაეცა.

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და დაღუპულ მეომართა ოჯახებს, ბოლნისის მუნიციპალიტეტისგან, ერთჯერადი მატერიალური დახმარება 1000 ლარის ოდენობით გაეწიათ.

უნარების გაძლიერება და დასაქმების შესაძლებლობა – „სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი“ ბოლნისში მესამე წელია ფუნქციონირებს

ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ბაზაზე, CSRDG-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, უკვე 2 წელია „სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი“ ფუნქციონირებს. ამ დროის მანძილზე ცენტრმა გარკვეული შედეგები დადო, უმუშევრობის პრობლემების დაძლევაში ეხმარება ბენეფიციარებს და 56 ადამიანს სხვადასხვა სამსახურში დასაქმებაში დაეხმარა. აღნიშნული ცენტრის შესახებ, შედეგებზე და მიზნებზე, კარიერის დაგეგმვის კონსულტანტს მერი თამაზაშვილს ვესაუბრეთ.

–„სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი“ როდის და ვისი ინიციატივით შეიქმნა და ბოლნისის გარდა კიდევ რამდენ რეგიონში ფუნქციონირებს?

-„სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი“ ბოლნისში 2 წელზე მეტია რაც არსებობს, ის შექმნილია CSRDG-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერით. პროექტი „უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონალური განვითარებისთვის“- ხორციელდება 3 რეგიონში: ქვემო ქართლში, გურიასა და კახეთში.

–ლოკალურად სად ხართ და რა არის თქვენი საქმიანობის მიზანი?

-ბოლნისში, „ზრდასრულთა განათლების ცენტრის“ ბაზაზე ფუნქციონირებს „ბოლნისის სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი“, ჩვენი საქმიანობის მიზანია რეგიონის მოსახლეობას (ვისაც ამის საჭიროება აქვს), დავეხმაროთ უნარების გაძლიერებაში, დასაქმებაში და კარიერულ წინსვლაში. ამისათვის მათ ვთავაზობთ სხვადასხვა სერვისებს, როგორიცაა პიროვნული და პროფესიული განვითარების პროგრამები და კარიერული დაგეგმვის კონსულტირება.

–აღნიშნულ ცენტრში მოსულ დაინტერესებულ პირთან როგორ ხდება კონსულტაცია, რა პროცედურული ნაბიჯები ხორციელდება?

-„ბოლნისის სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრში“ ვართ კარიერის დაგეგმვის ორი კონსულტანტი – მე, მერი თამაზაშვილი და ქეთევან ზურაბაშვილი. კარიერის დაგეგმვის კონსულტანტები ცენტრში მოსულ ადამიანებს, (ვინც მოგვმართავს დახმარებისთვის, ეს ადამიანები შეიძლება იყვნენ როგორც დასაქმების მაძიებლები, ასევე უკვე დასაქმებულები, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები) ხელს ვუწყობთ პროფესიულ ზრდაში და კარიერულ განვითარებაში, დასაქმებაში, მათივე ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. ამისათვის პიროვნებას ვარეგისტრირებთ ჩვენს ბაზაში და ვავსებინებთ ბიოგრაფიულ კითხვარს, რისი ანალიზის საფუძველზეც ვიგებთ მის საჭიროებას და ამის შესაბამისად ვუგეგმავთ მისთვის საჭირო სერვისს.

–რა არის კარიერული კონსულტირება, მოგვიყევით ამ პროცესის შესახებ?

-კარიერული კონსულტირება ეს არის პროცესი, რომელიც სხვადასხვა ტიპის სერვისის ერთობლიობაა და პიროვნებას ინდივიდუალურად, საჭიროებისამებრ ვთავაზობთ და ვუგეგმავთ კონკრეტულ სერვისს. ეს შეიძლება იყოს პროფესიის არჩევის გადაწყვეტილებაში დახმარება, ამისთვის ვთავაზობთ „პროფესიის არჩევის ტესტს“ და თავად მიგვყავს გადაწყვეტილებამდე, შეიძლება სჭირდებოდეს „თვითსაკვლევი ტესტი“, ცოდნისა და უნარების გაძლიერება-ამაღლება, სამუშაოს მოძიებაში დახმარება, დამსაქმებელთან კომუნიკაციაში დახმარება. კარიერის დაგეგმვის კონსულტანტები აქტიურად ვთანამშრომლობთ დამსაქმებლებთან, ხშირად ვიწვევთ ჩვენს ცენტრში, ვახვედრებთ დასაქმების მაძიებლებს, აკეთებენ პრეზენტაციას თავიანთი ვაკანსიების შესახებ, იყო შემთხვევა, ადგილზევე შეავსებინეს განაცხადი და დასაქმდნენ ჩვენი ბენეფიციარები (ასეთი იყო სუპერმარკეტ „ნიკორას“ წარმომადგენლების ვიზიტი ჩვენს ცენტრში, სადაც ერთდროულად 17 ადამიანი დავასაქმეთ). ასევე, ვეხმარებით CV-ის წერაში და გასაუბრებისთვის საჭირო უნარების გაძლიერებაში.

–ცენტრის ფუნქციონირება 2 წელზე მეტ დროს მოითვლის, შეაჯამეთ თქვენი მუშაობა

– „ბოლნისის სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი“ 2 წელზე მეტია რაც არსებობს ბოლნისში და გვყავს 56 დასაქმებული ადამიანი, რომლებიც უშუალოდ ჩვენი დახმარებით დასაქმდნენ, 180 კურსდამთავრებული, რომლებმაც მხოლოდ ჩვენი კურსები გაიარეს და სულ 380 ბენეფიციარი გვყავს ამჟამად, რომლებსაც ერთი კონსულტაცია მაინც აქვთ გავლილი კარიერის დაგეგმვის კონსულტანტებთან.

„ბოლნისის სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის“ მიერ დასაქმებული ნათია ციმაკურიძე:

-მე გახლავართ სოფელ ქვეშიდან, მსურდა დასაქმება და ამიტომ მივმართე აღნიშნულ ცენტრს, საჭიროებიდან გამომდინარე, დასაქმებამდე დამიგეგმეს რამდენიმე ნაბიჯი , პირველ რიგში გადამამისამართეს „დასაქმებისთვის საჭირო უნარების გაძლიერების“ ტრენინგზე, ამის შემდეგ საოფისე პროგრამების

კურსზე, ასევე გავიარე ინგლისურის შესწავლის კურსი და ამის შემდეგ დამასაქმეს „ბოლნისის ცენტრალურ კლინიკაში“ რეგისტრატორად.

,,დასაქმების პროცესზეც მინდა აღვნიშნო, რომ „ბოლნისის ცენტრალური კლინიკიდან“ თავად დაგვიკავშირდნენ, რომ სჭირდებოდათ გადამზადებული კადრი, რომელსაც კარგად ეცოდინებოდა საოფისე პროგრამები. ვიცოდით, რომ იმ ეტაპზე ნათიას სურდა დასაქმება და აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს. მივაწოდეთ ნათიას ეს ინფორმაცია და ჩვენი დახმარებით დასაქმდა. ასეთი შუამავლის როლს ვასრულებთ ხოლმე დამსაქმებელსა და დასაქმების მაძიებელს შორის''. აღნიშნა მერი თამაზაშვილმა.

„ბოლნისის სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის“ დასაქმებული, ქეთინო დეკანაძე:

-მე გახლავართ სოფელ ხატისოფლიდან. აღნიშნული ცენტრის კარიერის დაგეგმვის კონსულტანტებმა თავად შემომთავაზეს, რომ ჰქონდათ სხვადასხვა ტრენინგები, რისი გავლის საშუალებითაც გავიძლიერებდი დასაქმებისთვის საჭირო უნარებს. ამის მერე გავიარე „დასაქმებისთვის საჭირო უნარების“ ტრენინგი, შემდეგ მიმიწვიეს „სუპერმარკეტ ნიკორას“ ვიზიტზე, მოვისმინე და შევთანხმდით პირობებზე, მაშინვე შევავსე განაცხადი და მალევე დავსაქმდი. დღემდე ვმუშაობ „სუპერმარკეტ ნიკორაში“ მოლარედ.

–სამომავლო გეგმების შესახებ მოგვიყევით, პროექტის ფარგლებში, ხომ არ აპირებთ კიდევ რაიმე დამატებითი სერვისის შეტანას თქვენი საქმიანობის ფარგლებში?

-როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენი პროექტი ხორციელდება CSRDG-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერით 3 რეგიონში. სამწლიანი პროექტია და სამწუხაროდ, ამ წლის დეკემბერში სრულდება. დარჩენილი 4 თვის განმავლობაში დამატებითი სერვისის შეთავაზება არ იგეგმება, მაგრამ გვსურს მოვუწოდოთ როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს, ისე რეგიონის მოსახლეობას, გამოიყენონ ეს შესაძლებლობა, ვინც ფიქრობს რომ სჭირდება ჩვენი დახმარება, კარიერული განვითარებისა და დაგეგმვის კუთხით, 16 წლის ზემოთ, ნებისმიერს შეუძლია მოგვმართოს „ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრში“ და მიიღოს კარიერული დაგეგმვის კონსულტირება სრულიად უფასოდ.

C ჰეპატიტის სკრინინგული კვლევა

C ჰეპატიტი არის ღვიძლის დაავადება, რომელსაც იწვევს C ჰეპატიტის ვირუსი - ეს არის ძირითადად სისხლის გზით გადამდები ვირუსი, რომელიც სისხლში მოხვედრის შემდეგ აღწევს ღვიძლამდე და იქ იბუდებს, სადაც იწყებს გამრავლებას.

დღეისათვის, მსოფლიოში C ჰეპატიტით ინფიცირებულია 170 მილიონი ადამიანი, რაც მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 2.5%-ს შეადგენს.



სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით, საქართველო მიეკუთვნება C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების ქვეყნებს, მიჩნეულია, რომ მოსახლეობის დაახლოებით 7% ინფიცირებულია ამ დაავადებით. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებლია ევროპასა და ცენტრალურ აზიის ქვეყნებს შორის.

C ჰეპატიტის დროს ვითარდება ღვიძლის ანთებითი დაზიანება. დაავადებას აქვს მწვავე და ქრონიკული ფორმა. შემთხვევათა 70-85%-ში C ჰეპატიტი ქრონიკული მიმდინარეობისაა. C ჰეპატიტს აქვს სიცოცხლისთვის საშიში ისეთი გართულებები, როგორიცაა ღვიძლის ციროზი და ღვიძლის კიბო. დაავადება, ძირითადად, სისხლის გზით გადადის და საწყის ეტაპზე პრაქტიკულად არ აქვს მკვეთრად დამახასიათებელი სიმპტომები, რის გამოც, სკრინინგული კვლევის გარეშე, ვერ ხდება დროული დიაგნოსტირება და პაციენტი გვიან მიმართავს ექიმს. უმეტესწილად სიმპტომები ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაავადება საკმაოდ შორს არის წასული, რის გამოც დაავადება ჩუმი მკვლელის სახელითაც არის ცნობილი.

C-ჰეპატიტზე ინფიცირების სტატუსის დასადგენად ტარდება სკრინინგული კვლევა - HCV ანტისხეულების (anti-HCV) ტესტი იმის გასარკვევად, იყო თუ არა ადამიანი ოდესმე ინფიცირებული C ჰეპატიტის ვირუსით. ტესტის პასუხი 20 წუთში მიიღება. ტესტი ავლენს ორგანიზმში ანტისხეულების (ცილოვანი ნივთიერებები) არსებობას, რომლებიც სისხლში გამომუშავდება ორგანიზმში C ჰეპატიტის ვირუსის შეჭრის შემთხვევაში. ანტისხეულების არსებობა ნიშნავს, რომ ადამიანი იყო ინფიცირებული HCV ვირუსით, მაგრამ არ პასუხობს კითხვას - ინფექცია იყო მწვავე, გადავიდა ქრონიკულ ფორმაში თუ დასრულდა გამოჯანმრთელებით. HCV ანტისხეულების ტესტის შედეგების ინტერპრეტაციაში და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვაში გეხმარებათ ექიმი.

- ტესტის პასუხი „დადებითი“ - ნიშნავს, რომ პაციენტი ინფიცირებულია C ჰეპატიტის ვირუსით. ამ შემთხვევაში საჭიროა კონფირმაციული (დამადასტურებელი) კვლევა იმის დასადგენად, აქვს თუ არა ამჟამად C ჰეპატიტი.
- ტესტის პასუხი “უარყოფითი” - პაციენტი ინფიცირებული არ არის C ჰეპატიტის ვირუსით.

სკრინინგული კვლევის ჩატარება რეკომენდებულია 6 თვეში ერთხელ.

თუ C ჰეპატიტზე ანტისხეულების HCV ტესტი (anti-HCV) დადებითია, საჭიროა კონფირმაციული (დამადასტურებელი) კვლევა იმის დასადგენად, გაქვთ თუ არა ამჟამად C ჰეპატიტი. დიაგნოსტიკის ეს მეთოდია პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია PCR (პჯრ), რომელიც ავლენს სისხლში ჰეპატიტის ვირუსის რნმ-ის არსებობას.

C-ჰეპატიტზე კონფირმაციული კვლევის ჩატარება აუცილებელია, რათა დროულად მოხდეს დიაგნოსტიკა და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის რეჟიმის განსაზღვრა.

C ჰეპატიტზე ანტისხეულების დადებითი ტესტი და PCR კვლევის უარყოფითი შედეგი - პაციენტი ინფიცირებული იყო C ჰეპატიტის ვირუსით, მაგრამ ვირუსი ორგანიზმში აღარ არის, რადგან მოხდა თვითგანკურნება. ანტისხეულები რჩება სისხლში მაშინაც კი, თუ ორგანიზმი ვირუსს „მოერევა“.

PCR კვლევის დადებითი შედეგი - ინფიცირებული არის C ჰეპატიტის ვირუსით და ამჟამადაც არის ვირუსი ორგანიზმში (ანვისურის აქტიური ფორმაა). დადებითი შედეგი მიუთითებს აქტიური ინფექციის არსებობაზე.

C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ჩატარება შესაძლოა უფასოდ, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში.

ბოლნისში უფასო იურიდიული დახმარების სამსახური გაიხსნა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ლენტი, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვალენტინა ნავერიანთან ერთად გაჭრა.

ცენტრის გახსნის შემდეგ, სამსახურის ხელმძღვანელმა თვითმმართველი ორგანოს წარმომადგენლებისთვის, მერიისა და საკრებულოს წევრებისთვის მცირე პრეზენტაცია გამართა, შეკრებილ საზოგადოებას უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემაზე და იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებზე ესაუბრა.

იურიდიული დახმარების სამსახური 2007 წლიდან ფუნქციონირებს და ქვეყნის მასშტაბით, რიგით ორმოცდამესამე უფასო საკონსულტაციო ცენტრი გახსნა, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ადგილზე ისარგებლონ უფასო სამართლებრივი კონსულტაციით.

დავით სიმონია,სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი:

-იურიდიული დახმარების სამსახური აგრძელებს ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდას ქვეყნის მასშტაბით. ბოლნისში გაიხსნა უფასო საკონსულტაციო ცენტრი, სადაც დასაქმდება იურისტი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას გააცნობს ყველა უფასო სერვისს, რასაც ჩვენი სამსახური სთავაზობს და გაუწევს დახმარებას სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებში, ამიტომ იურიდიული საკონსულტაციო ცენტრი აცხადებს ვაკანსიას აღნიშნულ პოზიციაზე. ვიმედოვნებთ გამოჩნდება ადგილობრივი კადრი, რომელიც დააკმაყოფილებს სამსახურის ყველა მოთხოვნას. იმედი მაქვს უახლოეს მომავალში ეს ოფისი აქტიურად მოემსახურება იმ მოქალაქეებს, ვისაც სჭირდება აღნიშნული სერვისით სარგებლობა.

ვალენტინა ნავერიანი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე:

-იმ მრავალ სერვისთა შორის, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თავისი დანიშნულებით, ვინაიდან უფასო იურიდიული მომსახურება არის უდიდესი ფუფუნება, ამიტომ ვთხოვ აქტიურად ითანამშრომლონ აღნიშნულ სამსახურთან. ვისარგებლებ შემთხვევით და მოვუწოდებ საზოგადოებას, ახალგაზრდა თაობას, არ გადადგან არცერთი ნაბიჯი შესაბამისი იურიდიული კონსულტაციის გარეშე.

Bolnisinin 8 vətəndaşı fəxri vətəndaş adına layiq görülüb

Bolnisinin fəxri vətəndaşlarının mükafatlandırılması mərasimi ənənəvi olaraq "Bolnis şəhəri"nin dövlət bayramında keçirilib. Bu dəfə bu ada müxtəlif sahələrdə sanballı töhfələrinə görə səkkiz Bolnisi vətəndaşı layiq görülüb. 1. Bolnisi bələdiyyəsinə göstərdiyi nümunəvi şücaət və qüsursuz xidmətə, uzunmüddətli peşəkar xidmətlərinə və yüksək ictimai məsuliyyətinə görə Yerli özünüidarəetmə orqanının ali ictimai mükafatı – "Bolnisi Bələdiyyəsinin fəxri vətəndaşı" ölkənin fəxri vətəndaşı və xalq arasında yüksək nüfuza malik şəxs, Bolnisinin və MMC "SOCAR Georgia Gas" şirkətinin Dmanisi Xidmət Mərkəzinin əməkdar işçisinə Anzor Şexiladzeyə təqdim edilib. 1. Bolnisi bələdiyyəsində kənd təsərrüfatının inkişafında təvazökar töhfəsinə və bu istiqamətdə maarifləndirmə fəaliyyətində xüsusi xidmətlərinə, çoxşaxəli ictimai fəaliyyətinə və nümunəvi vətəndaş fəaliyyətinə görə, "Sion" folklor ansamblının

ən qocaman yaradıcılarından biri və hazırda rəhbəri olan Davit Kavelaşvili mədəniyyət və incəsənətin inkişafında müstəsna xidmətlərinə görə "Bolnisi bələdiyyəsinin fəxri vətəndaşı" adına layiq görülüb. 2. Bolnisi bələdiyyəsində gürcü və Azərbaycan xalqları arasında dostluğun möhkəmləndirilməsinə və Hörmətli şəxs adını ləyaqətlə daşıdığına, nümunəvi müdafiəsinə və tolerantlığın ilhamlanmasına, Bolnisi bələdiyyəsinin əhalisi qarşısında qüsursuz xidmətinə və xüsusi xidmətlərinə görə, Ölümündən sonra "Bolnisi Bələdiyyəsinin fəxri vətəndaşı adı" uzun müddət Bolnisi şəhərinin Matçlar Bürosunun şöbə müdiri olmuş Solmaz Nəbizadəyə verilib. 3. Gürcüstan-Azərbaycan ictimai fəaliyyətinə xüsusi töhfəsinə, iki qardaş ölkədə jurnalistika və pedaqoji işdə yüksək nailiyyətlərə, xalqlar arasında ümumi maraqların təmin edilməsində

mühüm formaların işlənib hazırlanmasında və metodların həyata keçirilməsində əldə etdiyi uğurlara görə "Bolnisi bələdiyyəsinin fəxri vətəndaşı" adı verildi. Bolnisili, Azərbaycan Jurnalistlər Birliyinin və Yazıçılar Birliyinin üzvü, Azərbaycanın Əməkdar Mədəniyyət İşçisi fəxri adı sahibi, Yazıçı və "Ozan dünya" jurnalının baş redaktoru, Gürcüstan pərəstişkarı və xüsusən də doğma Bolnisi bələdiyyəsinin aşiqi Musa Çubanova verilib. 4. "Kommunal Təsərrüfat" MMC-nin təmizlik rəisi, xeyirxah insan və hamıya isti dost olan Rezo Kikoliaşvili öz işinə son dərəcə məsuliyyətli münasibətinə görə yerli özünüidarəetmə orqanının ali ictimai mükafatı "Bolnisi Bələdiyyəsinin fəxri vətəndaşı" ilə təltif edilir. 5. Hərkəsin sevimlisi olan xanım Manana Şkubuliani Bolnisi Bələdiyyəsində təhsil və tələbə və gənclərin təhsil sahəsinin inkişafında xüsusi xidmətlərinə, uzunmüddətli və uğurlu pedaqoji fəaliyyətinə görə "Bolnisi Bələdiyyəsinin fəxri vətəndaşı" adına layiq görülüb. 6. Mədəniyyət və incəsənətin inkişafında və populyarlaşdırılmasında xüsusi xidmətlərinə, tələbə və gənclərin təhsilində mühüm xidmətlərinə, uzunmüddətli uğurlu pedaqoji fəaliyyətinə və görkəmli ictimai fəaliyyətinə görə, Yerli özünüidarənin ali mükafatı "Bolnisi bələdiyyəsinin fəxri vətəndaşı" musiqi sənətinin görkəmli nümayəndəsi, beynəlxalq və respublika müsabiqələrinin dəfələrlə laureatı və mükafatçısı, layiqli pedaqoq və lotbar, ən gözəl xanım Ninoya təqdim edilib. Dvalişvili. 7. Tibb sahəsində uzunmüddətli və səmərəli fəaliyyətinə və onun inkişafında xüsusi xidmətlərinə görə Bolnisi Bələdiyyə Xəstəxanasının keçmiş cərrahı və tibb məhkəməsinin eksperti, tibb elmləri namizədi Givi Saqanelidzeyə ölümündən sonra "Bolnisi bələdiyyəsinin fəxri vətəndaşı" adı verilmişdir.

Kvemo Kartlidə 755 hektar kənd təsərrüfatı sahəsinin suvarma suyu ilə təminatı yaxşılaşdırılıb

. "Gürcistan Meliorasiya" MMC Bolnisi bələdiyyəsində Naxiduri suvarma kanalının bərpasını həyata keçirib. Görülən işlər nəticəsində Muxrana, Balaxauri, Naxiduri və Xidiskuri kəndlərində 755 hektar kənd təsərrüfatı sahəsinin suvarma suyu ilə təminatı yaxşılaşdırılıb. Layihə çərçivəsində kanalın 4,2 kilometrlik hissəsinə dəmir-beton üzlük döşənib, drenaj konstruksiyaları düzülüb, piyada və avtomobil keçidləri düzəldilib. İşlərin qiyməti 1.670.000 laridir. "Gürcüstan Meliorasiya" MMC-nin baş direktoru Tamaz Mgebrişvili Bolnisi Bələdiyyəsi merinin müavini Longinoz Həsənovla birlikdə suvarma sistemində görülən işlər və suvarma prosesinin gedişi ilə tanış olub. Hazırda Kvemo Kartlidə 30 milyon lari dəyərində layihələr davam etdirilir, bu layihələr başa çatdıqdan sonra 3 min hektar kənd təsərrüfatı sahəsi müntəzəm suvarılacaq, 10,5 min hektarda isə su təchizatı yaxşılaşdırılacaq.

Bolnisidə pulsuz hüquqi yardım xidməti açılıb



Bolnisi Bələdiyyəsinin inzibati binasında hüquqi yardım xidməti məsləhət mərkəzinin təntənəli açılışı olmuşdur. Lenti Hüquqi Yardım Xidmətinin direktoru Davit Simonia və Bolnisi Bələdiyyəsi merinin müavini Valentina Naverian kəsib. Mərkəzin açılışından sonra xidmət rəisi özünüidarəetmə orqanının nümayəndələri, Meriya və Sakrebulonun üzvləri üçün kiçik təqdimat keçirib, toplaşan ictimaiyyətə pulsuz hüquqi yardım sistemi və Hüquqi Yardım Xidmətinin xidmətlərindən danışıb. Hüquqi yardım xidməti 2007-ci ildən fəaliyyət göstərir və ölkə miqyasında qırx üçüncü pulsuz məsləhət mərkəzi açmışdır ki, bu da vətəndaşlara yerindəcə pulsuz hüquqi məsləhətdən yararlanmaq imkanı verir.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯის საზაფხულო სკოლა 2023

არემჯის ერთთვიანი პრაქტიკული პროგრამა სტუდენტების მე-5 ნაკადმა წარმატებით გაიარა

„საზაფხულო სკოლა“ არემჯის ერთთვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაა, რომელიც სტუდენტებს საზაფხულო არდადეგების პერიოდში დაბა კაზრეთში, კომპანიის საწარმოში პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას სთავაზობს.

სტუდენტები ერთი თვის განმავლობაში თავიანთი პროფესიებისა და ინტერესის შესაბამისად გადანაწილებულები იყვნენ ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა: გეოლოგია, ბურღვის ტექნოლოგიები, წიაღისეულის გადამუშავება, მარკშეიდერია, გეოტექნიკა და სამთო ტექნოლოგიები.

“უკვე მეხუთე წელია ვახორციელებთ სტუდენტურ პროექტს სახელად „საზაფხულო სკოლა“, 2023 წელს მასში მონაწილეობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 18 სტუდენტმა მიიღო. მათ გაიარეს ერთთვიანი საწარმოო პრაქტიკა და ჩართულები იყვნენ კომპანიის სამუშაოებში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ ახალგაზრდების მომავალი პროფესიის შერჩევისა და მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში.“ - გიორგი ჩხეიძე, არემჯის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე საკადრო საკითხებში.

აღნიშნული პროგრამა სტუდენტების ცოდნის გაფართოებას ემსახურება და საშუალებას აძლევს მათ საწარმოში ყოფნისას, რეალურ მოცემულობაში გამოიყენონ ის თეორიული ცოდნა, რომელიც უნივერსიტეტში მიიღეს.

„ამ პროგრამამ მე, როგორც სტუდენტი, ნამდვილად განმავითარა ამ სფეროში, დამანახა ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები; ის, თუ რის სწავლას უნდა მივაქციო უფრო მეტი ყურადღება და რას უნდა დავუთმო მეტი დრო; ამასთან, ტექნიკასთან შეხებამ მომცა დიდი გამოცდილება, ვინაიდან ამ კუთხით მხოლოდ თეორიული ცოდნა არ არის საკმარისი.“ - ცოტნე სელიმაშვილი, საზაფხულო სკოლა 2023-ის მონაწილე.

პროგრამის დასასრულს, სტუდენტებმა თავიანთი გამოცდილება არემჯის ხელმძღვანელებსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შემაჯამებელი პრეზენტაციების სახით გაუზიარეს.

ღონისძიების მეორე ნაწილში სტუდენტებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ, ინტერესისა და პროექტში ჩართულობისთვის კი ყველა მონაწილე სერტიფიკატით დაჯილდოვდა.

5 წლის განმავლობაში, საზაფხულო სკოლის პროექტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის 120-მდე სტუდენტმა გაიარა, მათგან 24 კი უკვე კომპანიის გუნდის წევრია.

კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში არემჯი მიჰყვება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, რომელთაგანაც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა. ამ კუთხით, კომპანია სხვადასხვა საგანმანათლებლო ინიციატივას ახორციელებს, მათ შორის გამორჩეულია ის სტუდენტური პროგრამები, რომელთაც არემჯი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ახორციელებს: არემჯის სტიპენდიატების პროგრამა, ინდივიდუალური განვითარების პროგრამა და საზაფხულო სკოლა.

გია შავიშვილი

არემჯის გარემოს დაცვის პროექტებზე, სამთო სამუშაოებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

„არემჯი დიდი ოჯახია, სადაც გუნდური პრინციპებით და იმედებით ვქმნით წარმატებულ კომპანიას. აქ ადამიანი და მისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა ყველაზე პრიორიტეტულია“. გია შავიშვილი 40 წელია, უწყვეტი სტაჟით, კომპანიის თანამშრომელია, მუშაობა 1983 წელს დაიწყო, პროფესიით სამთო ინჟინერი თავდაპირველად მადნეულის კარიერზე, ღია სამთო-სამუშაოების, საბურღი დაზგის მემანქანის დამხმარე იყო. პრაქტიკამ და გამოცდილებამ ბევრი რამ ასწავლა, წლების მანძილზე სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. იყო კარიერის სუპერვაიზერი, დისპეტჩერი, საწარმოო ტექგანყოფილების უფროსის მოადგილე და ა.შ. ამჟამად კი კომპანიაში გარემოს დაცვის პროექტებზე, სამთო სამუშაოებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსია „დღეს კომპანიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა გარემოს დაცვა. კეთდება უამრავი პროექტები, სრულდება ყველა ვალდებულება და მიხარია, რომ ამაში მცირე წვლილი მეც მიმიძღვის, ძალიან მახარებს ასევე კომპანიაში საზაფხულო სკოლის ფუნქციონირების პროგრამა. გაიზარდა ახალგაზრდების ჩართულობა, წელს ბევრმა ადგილობრივმა აბიტურიენტმა ჩააბარა კომპანიაზე მორგებულ სპეციალობებზე უმაღლეს სასწავლებელში. მათ არემჯი აძლევს საშუალებას თეორიასთან ერთად გაიარონ პრაქტიკული სწავლების ნაწილი და გახდნენ წარმატებული სამთო-გეოლოგები, მარკშეიდერები, გამამდიდრებლები და ა.შ.

კომპანიამ, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ძალიან დიდი პროგრესი განიცადა. დღესდღეობით კი განახლების, განვითარებისა და გადაიარაღების მუდმივ პროცესშია. ინერგება ახალი ტექნოლოგიები, იცვლება მანქანა-დანადგარები, ხდება სამუშაო არეალის გაფართოება“.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.

სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.